ყვითელ ველში მოცემულია გამომავალი ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს პრაქტიკის ექთნისა და პრევენციული სამსახურის პერსონალის ხელფასების გაანგარიშებას და შესაბამისი გრადაციების სახით ფორმირებას.

სულ, „ექთნების“ ფარში (პირველ ვერსიაში) პროგრამულად განსაზღვრულია 1 ექთანზე 14 უჯრა, აქედან შემავალი ინფორმაცია - 9, გამომავალი - 6, ამჟამად მომუშავე 10 ექთანზე შესაბამისად $11*(9+6)=99+66=165$. 1 წლის (12 თვე) - $165*12=1980$ დამატებული სრულიად ავტომატიზირებული ჯამური წლიური ანგარიში - 165 უჯრა, სულ $1980+165=2145$. 2 ასისტენტი და სამსახურის უფროსი (1). შემავალი ინფორმაცია 3 პირზე: $8*(უჯრა)*3(პირი)*12(თვე)=288$. გამომავალი ინფორმაცია 3 პირზე: $288+(3*3პირი+10სმესც)*12(თვე)=516$, სულ $288+516=804$. **თანაფარდობა** შემავალ და გამომავალ ინფორმაციებს შორის **1 : 2,93**.

მეორე ვერსია ატერნატიულია და უფრო მოსახერხებელია იმ პჯდ-თათვის, რომლებიც უკვე საოჯახო მედიცინის პრინციპით მუშაობენ, ექიმი და ექთანი ერთ გუნდს წარმოადგენს, ხოლო მათ შორის კავშირი ორმხრივია და არა ცალმხრივი-ვერტიკალური, როგორც პირველ ვერსიაში. „ექთნების“ მოდელი „ოჯახის ექიმის“ მოდელის ანალოგიურია და შეფასების კრიტერიუმებიც მეტ-ნაკლებად ანალოგიურია, განსხვავებულია ნორმატივები და ფუნქციური მოცულობები, განსაზღვრულია დელეგირების ხარისხიც.

სქემის მარცხენა ნაწილში ველი (A1;I51) თავმოყრილია ის მუდმივი, სტანდარტული სიდიდეები, რომლებიც კომპიუტერულ დიზაინში შეტანილია ტრაფარეტული წესით და მომხმარებლისათვის გააჩნია მხოლოდ ნორმატიული ინფორმაციის გაცნობის დატვირთვა. აქვეა მითითებული გამოყენებული ნორმატივებიც და მათი ალგორითმების ფორმულები.

მწვანე ველში ხდება კონკრეტული უბნისათვის დამახასიათებელი ცვლადი მონაცემების შეტანა ოპერატორის მიერ.

ყვითელ ველში მოცემულია გამომავალი ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს პრაქტიკის ექთნების ხელფასების გაანგარიშებას და შესაბამისი გრადაციების სახით ფორმირებას.

სიახლე, რაც გამოჩნდა „ექთნების“ ფარზე და შემდგომ გადავიდა ყველა ქვეპროგრამაში - თვეში 10 ექთნის ნამუშევარი დღეების პერსონალური რაოდენობა (P5 AN50) ჰორიზონტალშია, ხოლო თვეში სამუშაო დღეების რაოდენობა I5 უჯრაში. აქვე, განსხვავებით პირველი ვერსიისა განსაზღვრულია ექთნების მუშაობის შეფასების

საშუალო მაჩვენებელი, რომლის გამოყენება შესაძლებლობას მისცემს მოდელს დაადგინოს ექიმებსა და ექთნებს შორის ზოგადი და ინდივიდუალური კორელაციის სახე და სიდიდე.

ს/ნახ. 8

A	B	C	D	E	G	H	I	O	P	AG	AH
3	პრ/ექთნების სამუშაოს მახასიათებლები			რ.ბა	ნორ	საშ	K=1	B1b1	საშუალო		
4	საკეძიანობის შეფასება			ერთ.	მ.წ	მ.წ	NF=21	კომპიუტერული	დამაკმაყოფ		
5	1.0	ბინაზე გაწეული მომსახურების რ-ბა		12	60	60		124	124.0	83	78.6
7	1.1	საწილის/სახლის მთავ/პროც/პროც. მეთაღაყრობა	1დღ*ი	4	20	20		52	52.0	34.7	34.7
8	1.2	ქიმი/ხანდაწილი/სამედიცინო/სამედიცინო/სამედიცინო	1დღ*ი	4	20	20		72	72.0	37.1	37.1
9	1.3	მწველი/პროც/პროც. მეთაღაყრობა	1დღ*ი	1	12	12		0	0.0	3.7	3.1
10	1.4	ხანდაწილი/სამედიცინო/სამედიცინო	1დღ*ი	3	8	8		0	0.0	9	3.6
11	1.5	საერთო მანძილი/სამედიცინო	1დღ*ი	3	8	8		0	0.0	9	3.6
12	1.5.1	მანძილის დამსახურება	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
13	1.5.2	კლინიკური	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
14	1.5.3	კლინიკური/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
15	1.5.4	მანძილის დამსახურება/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
16	1.5.5	მანძილის დამსახურება	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
17	1.5.6	მანძილის დამსახურება/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
18	1.5.7	მანძილის დამსახურება/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3	8	8		0	0.0	9	3.6
19	1.6	სოციალური მარკეტინგი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	25	8	8		0	0.0	0.5	0.4
20	პაციენტის/მომსახურების განაღება										
21	2.0	გაერვ/დაგადების პაცი/რ-ბა. განაღება		200	6.1.2.2.			150	60.00	46.29	
22	კონსტრუქტი			განმეორება	ახალი						
23	2.1	პაციენტის	თვ	100	6	6		3	18	2.8	16.8
24	2.2	პაციენტის/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	60	3	3		2	6	3.1	9.3
25	2.3	პაციენტის/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	0	6	6		1	6	0.3	1.8
26	2.4	მანძილის დამსახურება	თვ	30	6	6		3	18	2.5	15
27	2.5	მანძილის დამსახურება	თვ	0	3	3		2	6	1.3	3.9
28	2.6	მანძილის დამსახურება	თვ	0	3	3		2	6	0.4	1.2
29	2.7	მანძილის დამსახურება	თვ	0	3	3		0	0	0.2	0.6
30	3.0	პროექტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3				3	18	1.4	9.3
31	3.1	მანძილის დამსახურება	თვ	96%	96	96		95	0	95	0
32	3.2	პაციენტის/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	65	21	21		12	4	34.1	11
33	პროექტი/სამედიცინო/სამედიცინო										
34	4.0	კონსტრუქტი 100%	დამსახურება					13	20.00	15.40	
35	4.1	კონსტრუქტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3	2	2		1	4	0.7	2.8
36	4.2	კონსტრუქტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	55%	2	2		1	4	0.9	3.6
37	4.3	კონსტრუქტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	25%	2	2		1	4	0.9	3.6
38	4.4	კონსტრუქტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	3%	2	2		0	0	0.4	1.6
39	4.5	კონსტრუქტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	2%	2	2		0	0	0.2	0.8
40	4.6	კონსტრუქტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	15%	2	2		2	8	1	4
41	5.0	მულტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	1.2.3.4				0		0.2	
42	5.1	მულტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	8	10	10		0	0	1.8	2.25
43	5.3	მულტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	4	5	5		0	0	1.1	1.375
44	5.4	მულტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	2	3	3		0	0	0.6	0.9
45	5.5	მულტი/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	2	2	2		0	0	0.3	0.5
46	6.0	სამედიცინო/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	1.2.3.4				0		1.8	
47	6.1	სამედიცინო/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	0	-30	-30		0	0	0	0
48	6.2	სამედიცინო/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	0	-15	-15		0	0	0	0
49	6.3	სამედიცინო/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	0	-10	-10		0	0	0	0
50	6.4	სამედიცინო/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	0	-5	-5		0	0	0.3	-1.5
51	II	პირველ/სამედიცინო/სამედიცინო	თვ	1.2.3.4				0		1.1	3.3
52	ხელზე ასაღები ხელფასის ჯამი/სამედიცინო/სამედიცინო							202.88		164.2	
53	დარიცხვები/სამედიცინო/სამედიცინო							259.85		205.2	
54	საშემოსავლო გადასახადი 20% (ლარი)							91.97		41.0	
55	მარკეტინგული/სამედიცინო/სამედიცინო							1.0		6.88	
56	"ბონუს-მალუს" სისტემა							56.38	0.00	45.15	0.00
57	კორექტიული დარიცხვები/სამედიცინო/სამედიცინო							259.85		180.6	
58	პრაქტიკის ექთნის შეფასება							91.97		41.0	
59	კორექტიული/სამედიცინო/სამედიცინო							202.88		144.5	
60	კორექტიული/სამედიცინო/სამედიცინო							202.88		144.5	
61	პრაქტიკის ექთნის გვარება							B1b1		საშუალო	

ტრადიციული მუდმივი სიდიდეები

შემაგალიცვლი ინფორმაცია

გამომავალი ცვლი ინფორმაცია

პრევენციული მედიცინის სამსახურის თანამშრომლების ხელფასები იანგარიშება გამომუშავების პრინციპით და პჯდ რეიტინგის (ავტომატიზირებული შეფასების დონე) გამოყენებით.

ფარ „ექთან“-ზე იქნა პირველად გამოყენებული და შემდგომში გავრცელდა ყველა სხვა ფარზე თანამშრომელთა „არავტომატიზირებული ინდივიდუალური შეფასების“ მექანიზმი, რომელსაც მოკლედ წახალისება - დასჯის „ბონუს-მალუს“ მექანიზმი ეწოდა და დაწესებულების ხელმძღვანელისათვის „მანქანური (კომპიუტერული) შეცდომისაგან“ დაზღვევის ერთ-ერთ სერიოზულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი საზღვრები განსაზღვრულია მათემატიკური სტატისტიკის კანონზომიერების გათვალისწინებით და დიაპაზონის განი არ აღემატება 30%-ს. დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია მისი

აბსოლუტურ სუბიექტურად გამოყენება და მისთვის საფინანსო რეგულირების ბერკეტს წარმოადგენს მაკორეგირებელ კოფიციენტთან („დირექტორის ლუპა“) ერთად. ის „ექთანის“ ფარზე განთავსებულია მეორე ვერსიაში (M56 --- AH56), ხოლო „ოჯახის ექიმის“ ფარზე სარეალიზაციო ვერსიაში - (R148 --- AW148) ინტერვალებში.

სულ, „ექთნების“ ფარში (მეორე ვერსიაში) პროგრამულად განსაზღვრულია 1 ექთანზე $1+39+41+8=89$ უჯრა, აქედან შემავალი ინფორმაცია - 40, გამომავალი - 49, ამჟამად მომუშავე 10 ექთანზე შესაბამისად $10*(40+49)=890$. მე-11 მხოლოდ გამომავალი ინფორმაცია 89 უჯრაზე. 1 წლის (12 თვე) - $(890+89)*12=11748$ დამატებული სრულიად ავტომატიზირებული ჯამური წლიური ანგარიში - 979 უჯრა, სულ $11748+979=12727$. თანაფარდობა შემავალ და გამომავალ ინფორმაციებს შორის $400*12 / (490+89)*12+979$, ანუ $4800/7927$, ანუ 1 : 1,65

სულ, პერსონალის (სახელფასო) მოტივაციის ავტომატიზირებული სისტემები – **Automated systems to motivate employees - ASME** - ს კომპიუტერული პროგრამა შეიცავს:

#	ფარის დასახელება	საინფორმაციო ველების დახასიათება (უჯრების Σ)			
		სულ	შემავალი inf 1.	გამომავალი inf 2.	inf 1/ inf 2
1	„უბანი“	2613	720	1893	1:2,63
2	„ადმინისტრაცია“	111	18	93	1:5,16
3	„ოჯახის ექიმი“	23550	5904	17646	1:2,99
4	„ექთნები“ (v1+v2)	804+11748	288+4800	516+6948	(1:1,79)&(1:1,65)
სულ	4	38826	11730	27096	1:2,31

4. მოდელის დანერგვის დადებითი გამოცდილების მოკლევადიანი შედეგები და გრძელვადიანი პერსპექტივები

მოდელი მუშავდებოდა სმესგ-ში 2013 წლის ივლისის თვიდან. მისი ინტენსიური დამუშავება დაიწყო ნოემბრის თვიდან „კარდიო-ვასკულარული რისკების გამოვლენისა და მართვის ავტომატიზირებულ პროგრამა“-სთან პარალელურ რეჟიმში, რადგან მართვის თანადროვე პრინციპები უცილობრივ მოითხოვს ხარისხის მოტივირებისა და ანაზღაურების ადეკვატურ სისტემას, ხოლო სიახლის დროულ დანერგვაშივე დევს ორგანიზაციის პერმანენტული განვითარების ბუნებრივი მექანიზმი. ინსტრუმენტს კი დღესდღეობით - საკითხთა მიმართ არსებული მტკიცებულებებზე დაყრდნობილი ცოდნის კოდირება და მათი მართვის სრულყოფილი ავტომატიზირებული სისტემები წარმოადგენს.

ASME მოდელმა პირველი წარმატებული ტესტირება 2014 წლის თებერვალში გაიარა. მთელი 9 თვის განმავლობაში შეფასების პრიორიტეტების, მათ შორის წონაობების დადგენის, საკადრო ზოგადი არქიტექტონიკისა და კონკრეტული ინდიკატორების თავისებურებების, პარამეტრების დიფერენცირების კანონზომიერებების და ა.შ. შესწავლაში, ცვლილებათა ვარიაციების დადგენაში და ადეკვატური მოდიფიცირების გატარებაში მიმდინარეობდა ინტენსიური სამუშაოები. მეორე ტესტირება მარტის თვით შემოიფარგლა და ამ თვეშივე დაინერგა კიდევ სახელფასო ანაზღაურების მოდელი ოჯახის ექიმებისათვის, პრაქტიკის ექიმებისათვის, ადმინისტრაციისათვის.

თებერვალი 2014		k= 0.85		A1		B2		C3	
II	ოჯახის ექიმების სამუშაოს ძირითადი მახასიათებლები	განმარტება	ნორმატივი	სამაგალითო	MAXIMUM	MINIMUM	OPTIMUM		
5.0	5. არავტომატიზირებული ინდივიდუალური შეფასება	±(S*0.22)	თვე	317.43	0.00	0.00	0.00	კომპეტენცია	
				ჯამი:	1442.85		-316.86		495.34
				დარიცხული ხელფასის ფონდი (ლ):	1803.56		-396.08		619.17
				საშემოსავლო გადასახადი 20% (ლარი):	360.71		-79.22		123.83
				მაკორეგირებელი ჩონობრივი K:	1.08		0.74		1.0
				კორეგირებული დარიცხული ხელფასი:	1947.84		-293.10		619.17
				ოჯახის ექიმის შეფასება:	სამაგალითო		მიღებელი		კომპეტენცია
				კორეგირებული საშემოსავლო გადასახადი 20% :	389.569		-58.619		123.834
				კორეგირებული ხელფე ასაღები 80% :	1558.275		-234.477		495.337

მოდელი საშუალებას იძლევა მაქსიმალური ანაზღაურება 1900 ლარამდე ავიდეს, ხოლო მინიმალური - 300 საჯარიმო ლარის ოდენობით განისაზღვროს. დიაპაზონი მაღალია, რაც მოდელს უფრო დინამიურს ხდის, ხოლო ოპტიმალური საშუალო 600 ლარს აღემატება (ბონუს-მალუსის მექანიზმის გამოყენების გარეშე - 5. არავტომატიზირებული ინდივიდუალური შეფასების ჰორიზონტალი), რაც 50%-ით აღემატებოდა არსებულს.

კონკრეტულ შემთხვევაში, 2014 წლის მარტის შეფასებაში, საშუალო დარიცხული ხელფასი 468 ლარს შეადგენდა, რაც 18 %-ით მეტია სტაბილურად დანიშნულ ხელფასზე, მაგრამ აქ არსებობდა შესაძლებლობა დაწესებულების შეფასება უფრო მაღალი ყოფილიყო, რაც აისახებოდა კიდევ თანხის მოცულობაში.

ს/ნახ.10

	დასახელება	ხელფასის ფონდი (ლარი)		
		ახალი	ძველი	სხვაობა (+)
1	დარიცხული ხელფასი	7478	6400	1078
2	საშემოსავლო 20%	1395	1280	115
3	ხელფე ასაღები 80%	5581	5120	461

ხელფასების ინდივიდუალური განაწილება საოჯახო მედიცინის სამედიცინო-სასწავლო ცენტრში - **სმესც**, მოცემულია კომპიუტერიდან ამონაბეჭდზე ს/ნახ.11 და ასახავს თითოეული ექიმისა და დაწესებულებების შეფასების ერთგვარ შკალას, რომელსაც შესაბამისი თანხა შეესაბამება. აქვეა მოცემული შესრულებისა და ინდიკატორების ნორმატივებიც.

#	A	B	C	D	E	F	G	L	M	Q	R	S	T	U	V	W	X	
3	I	ოპტიმების სამუშაოს ძირითადი მახასიათებლები			I	k= 1.346			2014	A1	291.6		E5	173.5		Q17	211.9	
4										AAA111			EEEE55				სმესე	
5	1.0	1. ოპტიმების სამუშაოს შეფასება			A	ნორმატივი			480	356.6			კომპეტენ.				დამკმ.	
6	1.1	o ანტიკორუპციული მიდევნების პაციენტების რ-მა			1	15	დე	50	37.15	12	25.85		13	28.01		12.9	27.74	
7	1.1.1	მ.შ. ჩაწერა - 1			2	12	დე	75	55.72	6	19.17		9	28.75		8.1	25.76	
8	1.1.2	მ.შ. ჩაწერის გარეშე - 0.25			3	3	დე	25	18.57	6	6.24		4	4.16		4.8	5.01	
9	1.1.3	დამატებითი - დიპლემის პროგრამა			4	5	დე	25	18.57	2	7.43		2	7.43		1.2	4.41	
10	1.2.1	ყოველ თვეში საფინანსო ანალიზი (შემონატანი ლ-ში)			5	900	თვე	60	44.58	590	29.22		660	32.69		566.3	28.05	
11	1.2.2	ყოველ თვეში საფინანსო ანალიზი (ხარისხობრივი)			6	2	თვე	40	29.72	1	14.86		1	14.86		0.9	13.93	
12	1.3	o ბინაზე გაწეული მომსახურების რ-მა			7	1.5	დე	60	44.58	1	29.72		1	29.72		1.0	30.65	
13	1.3.1	o გავერდების რეესტრ ადრეცხვაუა მ.შ.ახალი			8	2	თვე	30	22.29	2	22.29		1	11.14		1.1	12.54	
14	1.3.2	o განახლებული ბაზები			9	2	თვე	20	14.86	2	14.86		1	7.43		1.1	8.36	
15	1.3.3	სტატუს და სხვა ანგარიშების დროულად წარდგენა			10	2	თვე	20	14.86	2	14.86		1	7.43		1.4	10.22	
16	3.2	პრევენციული კაბინეტში გაგზავნილ პაციენტთა რ-მა			19	20	თვე	30	22.29	14	15.60		3	3.34		5.9	6.55	
17	3.3	ფორმების (Flow sheets) რაოდენობა (შეცვლის ხარისხი)			20	0	თვე	10	7.43	3	-2.23		1	-0.74		0.6	-0.42	
18	1.3.4	სურ/დიაბ/რეტროპათიაზე (ოპტიმის ოფთალმოლოგია)			12	3	თვე	30	22.29	0	0.00		0	0.00		0.0	0.00	
19	1.4.3	ს. პალიატური მოვლა			13	4	თვე	20	14.86	0	0.00		0	0.00		0.1	0.23	
20	1.5.1	სამედიცინო მომსახურების - შეუსაბამოების გამოვლენა*			14	0	თვე	-50	-37.15	0	0.00		1	-27.6		0.3	-8.62	
21	1.5.2	სმს - სამედიცინო შეცდომების რაოდენობა**			15	0	თვე	-75	-55.72	0	0.00		0	0.00		0.0	0.00	
22	1.5	o რეფერალი			16	15	თვე	60	44.58	16	32.50		57	9.12		36.9	14.08	
23	1.5.1	რეფერალის სტრუქტურა (რაოდენობრივი, ხარისხობრივი)			17	2	თვე	30	22.29	2	22.29		1	11.14		1.1	12.54	
24	1.6	პედაგოგიური მოდელირება (ტრენინგები ექთნებთან)			18	2	კვარტ	20	14.86	2	14.86		0	0.00		1.2	8.82	
25	2.0	2. საკადრო სტრატეგია			B				120	89.15	0		0			0	0	
26	2.1	პედაგოგიური მოდელირების გამოვლენა			19	2	წელი	24	17.83	0	0.00		0	0.00		0.8	6.69	
27	2.2	ოპტიმის ექსპერტიზის შედეგების სტრუქტურა			20	10	წელი	48	35.66	10	35.66		10	35.66		15.9	56.84	
28	2.3	რეტროპათიაზე მონიტორინგის მხრიდან			21	5	თვე	48	35.66	6	42.79		5	35.66		6.6	46.81	
29	3.0	3. მართვის უზრუნველყოფა			C				180	133.7	0		0			0	0	
30	1.3.4	სურ/დიაბ/რეტროპათიაზე (ოპტიმის ოფთალმოლოგია)			12	3.5	თვე	30	22.29	0	0.00		0	0.00		0.0	0.00	
31	3.2	პრევენციული კაბინეტში გაგზავნილ პაციენტთა რაოდენობა			19	20	თვე	30	22.29	14	4.52		57	0.97		36.9	1.90	
32	3.3	ფორმების (Flow sheets) რაოდენობა (შეცვლის ხარისხი)			20	20	თვე	10	7.43	3	-0.65		1	-0.22		0.6	-0.12	
33	1.5	o რეფერალი			16	15	თვე	60	44.58	16	9.43		57	2.65		36.9	4.08	
34	1.5.1	რეფერალის სტრუქტურა (რაოდენობრივი, ხარისხობრივი)			17	2	თვე	30	22.29	2	6.46		1	3.23		1.1	3.64	
35	1.6	პედაგოგიური მოდელირება (ტრენინგები ექთნებთან)			18	2	კვარტ	20	14.86	2	4.31		0	0.00		1.2	2.56	
36	4.0	4. პირველადი მახასიათებლები			D	2			100	74.29	1	37.15		1	37.15		1.4	53.40
37								880	653.8	Σ	407.2			282.0			375.6	
38											509.0			352.5			469.5	
40											1.0			0.88			0.88	
42											კომპეტ.			მოლოცობა			დამკმ.	
41											509.0			310.2			413.2	

ASME 8v - მოდელის მე-8-ე ვერსია საბოლოოა ამ ეტაპზე და მისი განვითარება პერმანენტულად მოხდება ინდიკატორების ვერბალური შეფასების მეთოდიდან შიდა

ნორმატიულ სტანდარტზე გადასვლისას, რასაც გარკვეული დრო (რამოდენიმე თვე) დაჭირდება.

მოდელის ტესტირებამ და დანერგვამ შექმნა გარკვეული სადისკუსიო გარემო, სადაც დაინტერესება გამოვლინდა როგორც დაბალანაზღარებადი ექიმების, ექთნებისა და მენეჯერების მხრიდან, არამედ მათი მხრიდანაც, ვისაც მაღალი ანაზღაურება ერგოთ. დაინტერესება გამოწვეული იყო მეთოდოლოგიის წვრილმანების გაგების სურვილითა და „გამოსწორებადი ინდიკატორების“ წარმოჩენა-დახასიათებით. შეხვედრა თანამშრომლებთან სერიოზულ დისკუსიაში არ გადაზრდილა, რადგან მან მიიღო ახსნა-განმარტებითი ხასიათი და პროფესიულმა განმარტებებმა დააკმაყოფილა აუდიტორია (იხილეთ დანართი #3 - პრეზენტაცია).

მოდელი შეფასდა და მოწონებული იქნა სპეციალისტ-ექსპერტების (ფინანსისტი, პროგრამისტი, იურისტი) მიერ და მათი შენიშვნები გათვალისწინებული იქნება მოდელის გეგმიური განვითარების მიმდინარეობის პარალელურად. ის ამჟამად წარდგენილია „საქპატენტში“ საავტორო უფლებების დეპონირებისათვის.

სპეციალისტებიდან და თანამშრომლებიდან ყველაზე მეტად აინტერესებთ პასუხები შემდეგ კითხვებზე და შეხედულებებზე:

ა) მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორები ფუნქციურად დასაბუთებულ მატემატიკურ კანონზომიერებებს ემორჩილებიან, ხოლო პროგრამაში მთავარი აქცენტი მის ავტომატიზირებაზეა გადატანილი, მაინც არსებობს სუბიექტივიზმის გამოვლენის მაღალი რისკი. როგორია მისი შემცირების გზები ?

პასუხი: რისკი არ არის მაღალი, მაგრამ მისი არსებობაც დროებით მოვლენაა. რადგან მოდელის პერმანენტული განვითარების მექანიზმი იქეთაა მიმართული, რომ პირველ რიგში ქულობრივი შეფასების არატრაფარეტული ნაწილი შეიცვალოს შიდა სტატისტიკური მონაცემების სტანდარტული ბადით (რასაც ეასაჭიროებს რამოდენიმე თვე - ადგილობრივი სტატისტიკის დაგროვებისათვის), ან უკეთეს შემთხვევაში - სტაბილური სტატისტიკისას - მდგრადი რიცხვითი მნიშვნელობებით, ეს შექმნის რისკის კონკრეტულად განსაზღვრის წინაპირობას და შესაბამისად ობიექტურ საფუძვლებსაც.

ბ) მუშაკის შეფასებას ფსიქოლოგიური პორტრეტისა და პიროვნული თვისებების კუთხით, ის არ უნდა ხდებოდეს ცალსახად მენეჯერების მხრიდან ქულების მინიჭებით - მიუხედავად იმისა, რამდენი მენეჯერიც არ უნდა ფასებდეს მას. ეს ცალკე საკითხია და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში პერსონალის აღნიშნული მონაცემები (კომუნიკაბელურობა, სუბორდინაცია, მოწესრიგებულობა, პასუხისმგებლობა და ა. შ.) სპეციალურად მოიპოვება და მუშავდება კადრების დამოუკიდებელი სამსახურების მიერ და დგინდება ე.წ. პიროგრამების გამოყენებით. ხომ არ არის მოდელში გამოყენებული პიროვნული შეფასების ფორმა მომუშავეს უფლებების დარღვევა ?

პასუხი: პერსონალის ინდივიდუალური შეფასების პუნქტი არ აერთიანებს ინდივიდის ხასიათს და ფსიქოლოგიურ პორტრეტს, არამედ ძირითადად საშემსრულებლო მონაცემებზეა დამყარებული და ამდენად ღრმა დიფერენცირებას სპეცკითხვარით, ტესტებით და პიროგრამების გამოყენებით - არ საჭიროებს. თუმცა შესაძლებელია საკითხის უფრო ღრმად განხილვა და დამატებითი დამუშავება მომავლისათვის. უფრო მეტიც, კადრების მართვისა და კარიერის საფეხურების განსაზღვრა ცალკეული ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რადგან ხშირად ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებსაც. ეს მომენტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩვენთანაც, შესაბამისი მოდელის შემუშავება-დახვეწისას.

გ) მოდელის ყველაზე მთავარი მომენტი, ხელფასების გრადაცია (სამი დონე) ერთი და იგივე თანამდებობის მიხედვით, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მართალია, ასეთი მიდგომა საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება, მაგრამ აუცილებელია თითოეული დონის მიხედვით სახელფასო განაკვეთების განსაზღვრის მკაცრი (შემოსაზღვრული) კრიტერიუმების დადგენა, რათა გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება. აღნიშნულის გარდა, პრინციპულ საკითხად მიმაჩნია, რომ დაბალი თანამდებობის სატარიფო თანრიგის მიხედვით გრადაცია ისე იყოს აგებული, რომ მისმა მაქსიმალურმა დონემ არ გადააჭარბოს უფრო მაღალი თანამდებობის მიხედვით სახელფასო განაკვეთის მინიმალურ დონეს. ეს აუცილებელია კარიერის და სამსახურეობრივი (თანამდებობრივი) წინსვლის კანონზომიერი პროცესის უზრუნველსაყოფად (ალტერნატიული შეხედულება). რამდენად განიხილება ასეთი შეხედულება მოდელში ?

პასუხი: ხელფასების განსაზღვრის ჰორიზონტალური დიაპაზონი იძლევა საშუალებას მოტივირდეს დაბალი რანგის მაღალხარისხივი მაჩვენებელით მომუშავე მუშაკი მაღალი რანგის დაბალხარისხოვანი მაჩვენებლით მომუშავე მუშაკისაგან უფრო მაღალი

ანაზღაურების მიცემით. ეს ერთი მხრივ წარმოადგენს მისი პროფესიული დაფასების საფუძველს და ხელს არავითარ შემთხვევაში არ შეუშლის კარიერისა და სამსახურეობრივი (თანამდებობრივი) წინსვლის კანონზომიერი პროცესის უზრუნველყოფას.

დ) კოეფიციენტების სისტემა, რომელიც დანერგილია მოდელში, პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ნომინალური ხელფასის კორექტირება ავტომატურად იწვევს შრომის ანაზღაურების სხვა დონეების ცვლილებას. უფრო მისაღებია კოეფიციენტების ნაცვლად ხელფასის ფიქსირებული სიდიდის გამოყენება (ალტერნატიული შეხედულება). ამ შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციას საშუალება ექნება მოახდინოს სახელფასო დიაპაზონების რეგულირება არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში და არ დაჭირდება სახელფასო დიაპაზონების სარეგულიროდ შემოღებული განყენებული კოეფიციენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ხელფასის ნებისმიერი სასურველი ცვლილების წარმოება, ხოლო მოდელში არ არსებობს იმის გარანტია, რომ ადმინისტრაცია ამ კოეფიციენტს არ გამოიყენებს მომუშავეთა საზიანოდ - დაწესებულების შემოსავლების შემცირებისას, ან სხვადასხვა დამატებითი თანხების საჭიროების ფონდის შექმნის მომენტის დადგომისას და ამით არ შელახავს მომუშავეს შრომის უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამ პუნქტში არ ზღუდავს მესაკუთრის უფლებებს სრულ ავტორიტარიზმზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია მაკორეგირებელი კოეფიციენტის გამოყენების საკითხი გადაწყდეს კომპეტენტური ადგილობრივი კომისიის რეკომენდაციით (უფლების დელეგირება). რამდენად მისაღებია ატერნატიული წინადადება ?

პასუხი: მათემატიკური კანონზომიერების კოეფიციენტების ბადე წარმოადგენს იმ გარანტს, რასაც ანაზღაურების სამართლიანი განაწილების პრინციპი გულისხმობს. ის დამოკიდებული ხდება ქვეყნის ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე და იცავს მომუშავეს ისეთი ფაქტორისაგან, როგორცაა ინფლაცია (ამ უკანასკნელის არსებობისას), ხელფასის „პლიუს“ ცვლილებით, მომატებით. რაც შეეხება დაწესებულების შემოსავლების შემცირების შემთხვევაში მაკორეგირებელი კოეფიციენტის გამოყენებასა და ზოგადი ხელფასის შემცირების მიზანშეწონილობას საბაზრო ეკონომიკის კუთხით, ის აქაც მიუღებელია, რადგან ამ დროს ცალსახად გამართლებულია შემცირდეს მომუშავე პერსონალის რაოდენობა და არა სახელფასო ფონდი, რადგან შემცირებული პირები გადადიან სპეციალურ სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებში და არ ირღვევა არც დარჩენილი მომუშავეების შრომის უფლებები. მიითითებული პრობლემა არ საჭიროებს დამატებით კომისიის ჩამოყალიბებასაც ფუნქციის დელეგირების მიზნით, რასაც კანონმდებლობაც არ გულისხმობს, რადგან არ ზღუდავს მესაკუთრის უფლებას. მესაკუთრესა და დაქირავებულს შორის ფორმდება კონტრაქტი, რომელსაც საკანონმდებლო ძალა გააჩნია სასამართლოს პირობებში.

ე) „ბონუს-მალუს“ სისტემის შემოღება სიახლეა არა მარტო ჩვენი სახელფასო სისტემისათვის, არამედ სხვა ქვეყნების სახელფასო სისტემებისათვისაც (ის სადაზღვევო საქმიანობაში გამოიყენება მზღვეველისა და დაზღვეულის ურთიერთობაში). ამიტომ მიზანშეწონილი ადმინისტრაციამ თავისი მართვის ბერკეტის გასაძლიერებლად აპრობირებული საპრემიო სისტემა, ხოლო სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა „ბონუსები“ (შესაძლებლობების ფარგლებში) გამოიყენოს, რადგან „მალუსი“, იგივე დაქვითვა სოციალურად არასწორი და მორალურად გაუმართლებელი იქნება მუდმივად აუხსნელი სუბიექტივიზმის ფონზე. როგორია ავტორთა მოსაზრება ალტერნატიულ წინადადებაზე ?

პასუხი: „ბონუს-მალუს“ სისტემა პირობითი სახელწოდებაა და ასახავს მომუშავე პირის ინდივიდუალურ არაავტომატიზირებული შეფასების სახეს, რომელსაც ერთპიროვნულად ახორციელებს მთავარი ადმინისტრატორი/მესაკუთრე - მმართველი, თავისი სუბიექტური/ობიექტური შეხედულებების შესაბამისად. წახალისება-სასჯელის მოცულობა შემოსაზღვრულია და საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე ემსახურება ისევდასევე სახელფასო ანაზღაურების სამართლიან განაწილებას. რაც შეეხება პრემიებს და სხვადასხვა „ბონუსებს“, ადმინისტრაცია მას თავისი დანიშნულებით გამოიყენებს, რადგან ის არ წარმოადგენს წარმოდგენილი მექანიზმის ალტერნატივას.

გ) არსებული სახელფასო სისტემა ბევრად უფრო ხისტი, არამოტივირებული და არასამართლიანია წარმოდგენილი მოდელისაგან განსხვავებით, მაგრამ კითხვებს არ ბადებს. ახალი მოდელი კი უამრავ კითხვას და ალტერნატიულ წინადადებას ბადებს, ეს ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ მოდელი არასრულყოფილია ამ ეტაპისათვის და დანერგვამდე საჭიროებს დამატებით დამუშავებას ?

პასუხი: საბედნიეროდ, ყველა ინოვაციას თან ახლავს უნდობლობა და სპეციალისტების მხრიდან ოპონენციის გამოხატვის სურვილი, რაც ბუნებრივი პროცესია და ყველა კონკრეტული შეხედულება/აზრის/საკითხის ირგვლივ - გულდასმით განხილვას მოითხოვს. ავტორთა ჯგუფი მზადაა გაგებით შეხვდეს ნებისმიერ ოპონენციას და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს შესაბამის დისკუსიაში.

5. დასკვნა

ხელფასების დიფერენცირების საკითხი, როგორც პერსონალის მოტივაციის სისტემის შექმნის აუცილებელი პირობა, შემუშავდა საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის - **სმესც** ბაზაზე (ავტორები: ი.ქაროსანიძე, ბ.იოსელიანი, ვ.კვანტალიანი - 2014წ). მას საფუძვლად დაედო თავის დროზე დარგობრივი ექსპერტების მიერ რეცენზირებული ნაშრომი: **ორგანიზაციის მართვის პირობითი ერთეულის კადრების სახელფასო განაკვეთების იერარქიულ-ხარისხობრივი განაწილების მოდელი - of salary distribution of hierarchical levels and the quality of work done by – SDHQ**, რომელიც ეფუძნებოდა „ევროპის სოციალური ქარტიის“ (მიღებულია 03,05,1996წ. მისი პარაფირება ქართულმა მხარემ 1999 წლის სექტემბერში განახორციელა) სარეკომენდაციო მოთხოვნას - ა) მინიმალურ და საშუალო ხელფასს შორის თანაფარდობა განისაზღვროს **65-70%** ფარგლებში და ბ) თანაფარდობა უმაღლეს და უმცირეს იერარქიულ საფეხურების ნომინალურ ხელფასებს შორის არ აღემატებოდეს 1:8 - ს.

მოდელის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისათვის შეიქმნა **პერსონალის (სახელფასო) მოტივაციის ავტომატიზირებული სისტემები – Automated systems to motivate employees - ASME**. გაკეთებულია **Excel – 2007** საოფისე პროგრამაში.

მოდელი აგებულია რამოდენიმე დამოუკიდებელი პროგრამის ბაზაზე, რომლებიც ერთმანეთზე არიან გარკვეულწილად დაკავშირებული და ქმნიან ურთიერთ-დამოკიდებულ ერთიან საკომუნიკაციო სახელფასო სისტემას. პროგრამის ძირითადი საბაზისო მონაცემების, მოდელირების სხვადასხვა ვერსიების არსებობა და მაჩვენებელთა მათემატიკური წონადობების რანჟირებისათვის გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნება წარმოადგენს მოდელის სიცოცხლიუნარიანობის დამადასტურებელ

კრიტერიუმებს და იძლევა საშუალებას ის მოერგოს ნებისმიერი **პჯდ** ორგანიზაციის ადმინისტრაციების სამენეჯმენტო მოთხოვნებს - სახელფასო მოტივირების ჩამოყალიბებისა და მართვის კუთხით.

მოდელის ტესტირებამ გამოავლინა, რომ **ASME** მოდელი საკმაოდ სერიოზული ინსტრუმენტია მომუშავე პერსონალის ხელფასების დიფერენცირების მისაღწევად და მათი მოტივაციის მექანიზმის ამოქმედების მძლავრ აქტივატორსაც წარმოადგენს.

მთავარია ის, რომ სახელფასო კოეფიციენტების სიდიდეები გამყარებულია მათემატიკური კანონზომიერებით და არაა განსაზღვრული სუბიექტური შეხედულებით. მოდელში ყველაზე მნიშვნელოვანი კადრების სახელფასო განაკვეთების ხარისხობრივი დიფერენციაციაა, რაც ჩვენში მოქმედი სახელფასო სისტემებისათვის ჯერჯერობით უცნობია (მთავარი სირთულე - სუბიექტივიზმის მოვლენების გამორიცხვაა. ამ საკითხს წარმოდგენილი მოდელი ცალკე არ განიხილავს, მაგრამ დიდ მნიშვნელობს ანიჭებს დიფერენციაციის ღრმად დეტერმინიზებულ კრიტერიუმებს და მათ სრულ ავტომატიზირებას, რაც თავის მხრივ, სუბიექტივიზმის წილის საგრძნობლად შემცირების ერთადერთი განხორციელებადი პირობაა).

მოდელი ორიგინალურია; სოციალურად, სამართლებრივად და იდეოლოგიურად გამართლებულია; მასში დევს მუდმივი განვითარების მექანიზმი და ტესტირების შედეგებით მისი განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ **პჯდ**-ში. მაგრამ მისმა ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მოდელის ფუნქციონირება მუდმივად პრიორიტეტული საკითხია, ხოლო მასში სათანადო ცვლილებების შეტანის დროულობის მკაცრი დაცვა (კორექცია მსვლელობაში) ადმინისტრაციის უმთავრესი ფუნქცია.

05.05.2014 წელი